

572
1961



ღელა

«ღელა» ტურის მკვლევარ
თამარე თეთრის მიერ,
და შპს «ქართული-საბავშვო»
საბავშვო ექსპანსიის მიერ

№ 2

საბავშვო ჯაი თბილისის კომპლექსი და
3-ე ობიექტი, საბავშვო ჯაი კომპლექსი
თბილისის რაიონის რაიონის საბავშვო

თბილისი
1961

საბავშვო

წითელი ბაუთი

მიხვსა პარკამ



თქვენი ჯანსაღი

შენი ნორჩი ყვავილი ვარ,
მკერდში მიკარავ ორიგ ზედიტ,
შენს ზეიმზე, დიდ ზეიმზე
მეც მოვიდვარ, მოვიმღერი,
ადისფერი დროსა მომაქვს,
თეთრი მტრედი ახალთა,
წყაროების კისკისა,
ყვავილების ღაღაღია.
მთაში, ბარში, ყველგან ბრწყინავ
ვით კისკარი ჩაუმქარლი,
შენი დიდი გაბაფხული—
ოცდახუთი თებერვალი.
ამ დიდი დღის ქებას მღერის
უთვალავი ღერწმის ყედი,
შენს ზეიმზე, დიდ ზეიმზე
მეც ხმადაღად მოვიმღერი.
პაწაწინა შენი შვიდი
გავეზრდები, გასახელებ,—
ავაშენებ ელსადგურებს,
ქარნებსა და სასახელებს.
მეც ავაგებ დიდ ხომალდებს,
მთავარსაგან ასაფრენებს.
კიდევ უფრო დავამშვენებ
შენს მშვენიერ მთებს და ველებს.
სულ იხარე, იდეგვრძე,
გულნათელი, გზანათელი,
ჩვენო დედავ საყვარელი,
ორმოცი წლის საქართველო!



(ჩვეულებრივი მოგონება)

ზამთრის ღრუბლიანი დღეა. ჩემი სახლის-
კენ მივდივარ. წინ თუთუნის ქარხნიდან გა-
მოსული მუშები მხედებიან, მაგრამ მე მათი
არ მეშინია და გზას ვაგრძელებ. უცებ ვხე-
დავ, ქუჩის ბოლოში ვილაცხა ატუზულა.

„ღამინახა, თუ ჯერ არ შევუმჩნევია?
ვინ იცის, დიდი ხანია მითვალთვალვს, უც-
დღის, როდის გავუსწორდები, რომ სხვებსაც
ანიშნოს და ხელი მტაცონ? არ უნდა გა-
ვიქცე“.

ერთი-ორი ნაბიჯი გავიარე, იქვე ვზომი
შევუხვიე და მეორე ქუჩაზე გამოვედი. უკან
არაფერს მომღვეს. ერთ ადგილას ხალხი შეგ-
როვილა. სწორედ აქვე ჩემი ამხანაგი ცხოვ-
რობს. ისიც ბოლშევიკია, ციხიდან ვს ერთი
კვირაა გამოვედით, ახლა ავად არის. ნუთუ
ლოგინიდან ააყენებენ?

— რაო, ვის წასაყვანად მოვიდნენ?—ვე-
კითხები პატარა ბიჭს, რომელიც შეგვროვილ
ხალხის ბრბოს გამოვეყო და შუა ქუჩაში გა-
მოიბრძის.

— არ ვიცი,—მომიგო ბიჭმა და გაიქცა.
მე ალყაფის კარს ამოვეფარე და იქიდან
გავცქერი, რა ხდება ქუჩაში.

ჩემი ამხანაგი მიჰყავთ. აქეთ-იქით გვარ-
დიელები ამოსდგომიან, ხალხი მუქარით მის-
დევს, გვარდიელები თოფის კონდახებით
უმახინძღლებიან, მაგრამ ხალხი არ ეშუება.

— წინ ორი პარასკევი არ უდევს, სადღა
მიგყავთ?

— ფუი!—სახეში აფურთხებს ხალხი გვარ-
დიელებს.

— აჰა, დამარტყი!

— ხალხის ტანჯვა-წამებით ვერ გაძლენენ!

— როდის რა გვეშველება?

— მალე თქვენც გავისწორდებიან!
 გაყინულ ოთახში შევედი. ჩემი ცოლი
 ცივ კარტოფილსა ფცქენის, ერთი კვირაა პუ-
 რი აღარა აქვთ და ცარიელ კარტოფილზე
 გადადიან, ღღეს თუ ხვალ ესეც გამოვლე-
 ვათ.
 — სადა ხარ, კაცო, მესამე ღამეა არ გამო-
 ჩენილხარ?
 ცოლს თვალები დასწითლებია.

— ამდამაც მიღიხარ?—მეკითხება ჩემი
 ცოლი.
 — ცოტაც მოიცადე!—ვამწვილებ.




1158

ნახატი მ. პეპუჩაძისა

სველ მაზარაზე უმცროსი ბიჭები მებღაუ-
 კებინან. ჭგონიათ, მაზარის ქვეშ პური მაქვს.
 — მომეცი, მაგილო!— ჩემი პატარა გოგო-
 ნა მაზარას მართმევს.

გარეთ რალაც ჩოჩქოლია, ფანჯარაში
 ვიყურები, ქუჩაზე ვილაცამ გადაირბინა. ფან-
 ჯარას ვწორდები, მაგრამ გვიან არის, კიბეზე
 მძიმე ნაბიჯებით ამოდიან, კარი იღება და
 თორმეტი გვარდიელი ოთახში შემოდის.
 — ახლა სადღა დავგვემალეები?
 ჩემს ცოლს სახეზე ფეხი ითარ აღდევს,
 ჩემს პატარა გოგონას ნიკაპი უკანკალებს და
 თვალები ცრემლებით ევსება. პატარა ბიჭები





პირდაღებულეფი შესცქერიან გვარდიელებს.
მე გვარდიელებს მივდეფ.

— მამა, მამილო!—მესმის ხმა. უკან ვიყუ-
რები, ჩემი გოგონა მომდევს.

— დაბრუნდი,—ვეუბნები,—მე მალე მო-
ვალ!

—როგორ არა!—ხარხარებენ გვარდიელე-
ბი და კონდახებს მიშენენ.

— მალე მოვალ!—ვუმეორებ ჩემს გოგო-
ნას. ლოყაზე სისხლი ჩამომდის, მაზარის სახე-
ლოთი ვიწმინდავ, მისკენ ვიხრები და თავ-
ზე ხელს ვუსვამ.

— მალე მოვალ!

ატლახებულ თოვლზე ფეხი მისხლტება.
იქ, სადაც ახლა ვერის ბაზარია, წინათ
მთელ სივრცეზე მკალავები იყვნენ. ქურებს
წითლად გაჰქონდა ბღღვრიალი. ერთხელ
ხელიდან დავუსხლტი გვარდიელებს და მკა-
ლავებთან შევაღარე თავი. ერთმა მკალავემა
სახეზე მურიანი ხელი ჩამომისვა, ქული ჩამო-
მაღხატა, ბნელი კუთხისკენ მიმაგდო და პა-
ტარა თანგირა ქვაბი და ჩაქუჩი მომაჩეჩა.

— აი, მამს ურახუნე,—სიცილით მითხრეს
მკალავებმა.

გვარდიელეფი მკალავებთან შემოცვივ-
დნენ.

— აქ ხომ არავინ შემოსულა?
მკალავებმა გაიოცეს.

— რას ამბობ, აქ ვინ უნდა შემოსული-
ყო? აჰა, აი, ესა ვართ.—მე ზურგით ვიდექი,
სახე სიბნელეში მქონდა, ხელეფი კინალამ
დამეწვა, ისე ახლო მეჭირა ცეცხლთან.

ახლა მკალავების წინ რომ გამატარეს,
მკალავებმა მიცნეს და გარეთ გამოვიდნენ.

— თქვენც მოგივლიათ!

მოსძახიან მკალავები გვარდიელებს.



პართი-შენ. პართი-მე

თამარ ჩხაიძე
პაწია თინიკო ლამარას ყველაფერს
უწილაებდა. ერთი—შენ, ერთი—მეო.
იმ დღეს მამამ ახალი ფეხსაცმელები
მოაუტანა. ის იყო უნდა ფეხზე ჩაე-
ცვა, რომ თინიკომ ცალი ლამარას
მისცა: ერთი—შენ და ერთი—მეო!





ნახატი ლ. ხახვაშვილისა

თებერვლის თოვლიანი დილაა. ციხის კარი გავიდეს და გამოგვიშვებს. ლასლასით მოვდივარ. თორმეტი დღეა პირში არაფერი ჩამსვლია. მალაზის ვიტრინის შუშაში ჩემს თავს ვხედავ. გაუპარსავი ვარ, გამხდარი.

— წითელი ღროშა ააფრიალეს!—მეუბნენ-

ბა ვილაც უცნობი ქუჩაში.—ჯარი ქალაქში შემოვიდა!

მუხლში ძალა არა მყოფნის, მაგრამ ნაბიჯს ვაჩქარებ, დეპოს მუშები სიმღერით მოდიან, წითელ ღროშას მოაფრიალებენ.

მე მათ ვუერთდები. მერე მეგობრულად ვემშვიდობები და ჩემი სახლისაკენ ჩქარი ნაბიჯით ვუხვევ.

— მამილო!—მესმის ხმა.

ჩემი გოგონა გამორბის.

— აქ რა გინდა?

— შენ გელოდები, მამილო!

მეზობლის პატარა ბიჭიც იქვეა.

— ჩვენ ჯარი ვნახეთ,—მეუბნება ის.

— ჰო, ვნახეთ, მე ვუთხარი, მამაჩემიც

ბოლშევიკია-მეთქი!

— მერე დაგიჯერეს?

— აი, ეს წითელი ბაფთი ვაჩვენე.

მე ჩემს გოგონას ვუყურებ, დახეულ წვეტიან წულეებში წყალი შესდის, ძველ შავ პალტოზე ხნულში ამოსულ ყაყაჩოსავით წითელი ნაპრის პატარა ბაფთი უქეთია. მე გაყინულ ხელებს ვკიდებ ბავშვებს და სახლისაკენ მივდივარ.

სეზონი

პირველი ზღაპარი

— თამბ, დიდებას გაუგია, სტაფილღს კვადი რომ გავგვიჯვთ თხა-კიკინასათვის.

— საიდან გაუგია?

— საიდან და ჩიტმა მომიტანა ამბავიო.

— ნეტავ იმ ჩიტს ვილა ეუბნება?

— ვინა და, აბა, შეხედე, სულ ტედუონის მავთუდზეა ჩამოსკუპებული...





სილერა სამუბროზე

ლექსი სება ბერულავასი

მუსიკა ვაჩი ლავიტაძისა



•••

ჩვენ გაბმდურებს ცაზე ნიხლი
და მიწაზე ნაკადული,
ბექობიდან შემანილი
მთის უბეში დაკარგული.

ჩვენ გაბმდურებს ჩვენი კერა,
ჩვენი გომიო წინაპარი,
ბუნების პირას გაგანილი
ძველი ლექსი და ზღაპარი.

ჩვენ გაბმდურებს, ჩვენ გვადლეგებს
ჩვენი მიწა და მამული,
ჩვენი ტბილი საქართველო,
გმირთა ხისხლით დანამული.

ნახატო გ. როინიძისა



მამა-შვილი

ლ. ჭიჭინაძე

ნახატები თ. სასოსნიანი

თუ ძარბრებლით შესტაფონს ჩაუვლით, მორიდანუე დაინახეთ ცეცხლის შუქს. ეს შესტაფონის ფეროქენადნობების ქარხნის შუქია. ქარხნის დიდ ღუმელებში ცეცხლი დღე და ღამე გუსვუზებს.

ერთხელ ამ ქარხნის ეზოში სოფლედი ბიჭი გიორგი შემოვიდა. მან კითხვა-კითხვით მიაგნო თედოს, რომელიც დაპირებული იყო, სამუშაოზე მოგაწუებო.

— თედო, საჩემო საქმე გეკენებათ რამე? — ჰკითხნა გიორგიმ.





— შე კაი კაცო, მაკის დარდი გაქვს? შრომის ნუ დიხარებ და საქმის შეტი რა არის? — უთხრა თედომ.

თედომ ქარხანაში წაიყვანა გიორგი. მათ რამდენიმე საამქრო გაიარეს. დუშელებში ზვინებივით იღვა ჭიათურის მარჯანეცი. ევლკან ცეცხლი დუხლუხებდა. იწოდა, დნებოდა მარჯანეცი და ღარებში ნიაღვარივით მოდიოდა გაფარვარებული ლითონი. ზოგან უხარმახარი ქვაბები ივსებოდა ლითონით, ზოგ დუშელთან კი მომრავ ჯაჭვზე გამწვრივებულ რკინის ჯამბებში ისხმებოდა. მიდიოდა სავსე ჯამბები და სადღაც შორს ზურის ფორმის მსგავსი შენადნობები ერთ ადგილზე იურებოდა.

— ეს ფეროქენადნობია, — უხსნიდა თედომ გიორგის, — უამისოდ ფოლადი ვერ დამზადდება.

გიორგი ხან თვალისმომკრელ ცეცხლს უუგრებდა, ხან ლითონის ნიაღვარს.

— გიორგი, — უთხრა თედომ, — ხომ ხედავ, ამ დუშელს ერთი კაცი ზარტონობს. შენც ასე იმუშავე.

მედუშელე რკინის გრძელ ჯახს დროდადრო მარჯანეცის კოვში ურევდა.

ამ დღიდან გიორგიმ ქარხანაში მედუშელედ დაიწყო მუშაობა.

გიორგის ძალიან შეუყვარდა თავისი ქარხანა. ეს სიყვარული მის შვილს, ზატარა გიორგისაც გადაეღო. ზატარა გიორგი სკოლიდან ზირღაზირ მამასთან ვარბოდა ქარხანაში; სკოლა რომ დაამთავრდა, თვითონაც იქ დაიწყო





მუშაობა. ახლაც ერთად მუშაობს მამა-შვილი. მამა კვლავ ღუმელთან ტრიალებს, შვილი კი უკვე ქარხნის ინჟინერია. აქ დამზადებულ მრავალნაირ ფეროშენადნობს გზაყინან ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებში. დღე ისე არ გავა, რომ ჰატარა გიორგიმ რამდენჯერმე არ ჩაუაროს მამის ღუმელს. ერთხელ სწორედ ისეთ დროს მივიდა, როცა თითქოს კულაკანმა ამოხეთქაო, ღუმელიდან გადმოცვივდა გავარჯარებული მუცუხლები.

— მამა, შენს ღუმელში ასეთი რამ არ უნდა მოხდეს, — უთხრა შვილმა.

— ღუმელი ღუმელია, ჩემი რა არის და სხვისი რა არის?

— ეგ მართალია, მაგრამ შენ გაძოცდილი მეღუმელე ხარ. მარგანეცის გორაში ბოლს შეამჩნევ თუ არა, მაშინვე ამ რკინის ჯოხით უნდა აურიო, რომ გასს გზა მისცე.

— ვვადარ მოვასწარი, — თავი იძარბოდა მამამ.

მესობელმა მეღუმელემ სიცილი დააუარა:

— რაო, გიორგი, გაჯობა შვილმა?

გიორგის ჩაეღიმა და ისევ თავის ღუმელს მიუბრუნდა.



ჩვენი ბალი

ილია სინარულიძე

მამა ამბებს ჭკუებას, როცა კი მოიცდის, გკითხრა: „მეგსრუდლიო უკვე ორმოცი წლის ვარ საბჭოთა ქვეყნის — საქართველოს კბილა“. — ისიც ჩვენს საბავშვო ბაღში გამოხრდილა. იტყვის: „როცა ვიყავ თქვენებრ ჰატარაო,

მეც საბავშვო ბაღში დედამ მატარაო“. ბევრი დეიდა და ბევრი, ბევრი მია მამის ვარდა სხვებიც ჩვენს ბაღს ვაუხრდა! მიტომ გვიყვარს ასე ყველას ბაღი ჩვენი, აღმსრდელები, ვამეც, ჭლარა რომ შვენის!

თეზარვალი

პანანს კოჩანალი

ბევრჯერ, ბევრჯერ შემოსულა
სამშობლოში თებერვალი,
ბევრჯერ, ბევრჯერ აუხილათ
კორდებსა და ველებს თვლი.

ხალხმა შეგა მამინ ივანო,
მამინ ჩაღა ხემი წყალი,
აას ცხრასა ოცდართში
როცა დადგა თებერვალი.

როცა კარი გამოღო
ბუნდორმა განთიადმა,
როცა წითელ დროშასავით
გახაფხული ამრიალდა.

თებერვალმა აგვისრულა
ნანატრი და განზრახული,
თებერვალმა მოგვიტანა
საქართველოს გაზაფხული.

გაუმარჯოს საქართველოს,
მის მშვენიერ მთებს და ველებს.
მის ანჯარა ნაკადულებს,
მის მწვეს და ცისარტყელებს.



ნანატრი & კოჩანალი



პანანი ხაპი

ბავშვებო, თქვენ

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

ცხოვრობთ. მაგრამ სადაც არ უნდა იყოთ—

ქახთსა თუ იმერეთში, ქართლსა თუ აჭარაში, სვანეთის
მთებში თუ შავი ზღვის პირად, თბილისის მხოლოდ სამასი-

ოთხასი კილომეტრით იქნებით და შორანბული. ხოლო თუ თბილისიდან
ერთი და იმავე მიმართულებით განუწყვეტელი იმოგზაურებთ, გადაივლით
მწველსო, ციხასა და ცხელ ქვეყნებს, ზღიებსა და ოცენებს, ცოლად ჩვენს სამშობ-
ლოს საზღვრებს მიაღებთ. იცით, რატომ მოხდება ასე? იმიტომ რომ დედამიწა
ბუნებრივ მრგვალია და საითაც არ უნდა წახვიდეთ, თუ ერთი მიმართულებით ივლით,
შემოწვევით დედამიწის და ისევე იმ ადგილას მიხვალთ, სადაცაღ დაიწყეთ მოგზაუ-
რობა.

ამ ოთხას ორმოცი წლის წინათ დედამიწის პირველად შემოუარა პორტუგალიელმა მოგ-
ზაურმა უფრანლო მაგელანმა. დიდი დედამიწა ორმოცი ათასი კილომეტრი უნდა გაი-
აროთ, რომ გარს შემოუაროთ. დედამიწაზე მოგზაურობენ მატარებლით და მანქანით, გე-
მითა და თვითმფრინავით. მაგელანის გემსედიკამ დედამიწის გარშემო ზღვით მოგზაურობას
სამი წელიწადი მოანდომა.

ახლა საბჭოთა ინჟინრები და მუშები ისეთ თვითმფრინავებს აგებენ, რომ ამ თვითმფრინ-
ავლებით დედამიწის ორ დღეში შემოუფრინებ ირგულზე.
მთვარე და სხვა მნათობები, რომლებიც ცხუნე კაშკაშებენ, უფრო შორს არიან დედამიწი-
დან. შეუძლია თუ არა ადამიანს გაფრინდეს ამ მნათობებზე?

მთვარეზე გაფრინას თვითმფრინავით თითქმის ოცი დღე-ღამე დასჭირდება. რაც დედამიწის
გარშემო ათჯერ შემოვლას უნდა, ამდენივე დროა საჭირო მთვარეზე გასაფრინად.

თვითმფრინავით მთვარეზე ვერ გაფრინდებით. თვითმფრინავი, როგორც იცით, ჰაერს
გყრდნობს და ფრთებით და ისე მიფრინავს. ხოლო დედამიწისა და მთვარეს შუა უპაერო სივრ-
ცვა სფერო მხოლოდ დედამიწის გარშემოა. იგი თხელი გარსებით შემოვლენია დედამიწის
და მის ატმოსფეროს უწოდებენ. თუ მთვარისაკენ გაფრინდებით, ატმოსფეროში მხოლოდ
ცოტა ხანს ვიფრინთ, შემდეგ კი უპაერო სივრცეში გადავალთ, რომელსაც კოს-
მოსური სივრცეს ან უბრალოდ კოსმოსს უწოდებენ.

საბჭოთა ადამიანმა შესძლო კოსმოსში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრე-
ბისა და კოსმოსური რაკეტების გაშვება. ზოგი თანამგზავრი დედამიწის გარს
უბნუნდა, ერთი რაკეტა კი მთვარეზე დაეშვა. მართალია, ადამიანს
ჯერ არ უმოგზაურია კოსმოსში, მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა
კოსმოსური ხომალდებით ცხოველები გაამგზაურეს, რომ-

ლებიც დედამიწაზე მშვილობით დაბრუნდნენ. ადა-
მიანიც მალე იმოგზაურებს
კოსმოსში.

ნანატრი & კოჩანალი



„თურქი“ ჩიჩინო

ნაბალია ლონინი

ნახატი კ. აშვოქაძისა

იტალიის ძველ ქალაქ პალერმოში ანიმე სანტეს ქუჩის ქვაფენილზე ბიჭები თამაშობდნენ. მაშინვე შევნიშნე თვალბრიალა შავგვრემანი ბიჭი. ბავშვების თამაშს თვალი ველარ მოვაშორე. უცებ ქალის ხმა გაისმა:

— ჩიჩინო, ჩიჩინო-ო-ო!

სწორედ იმ ბიჭუნამ, რომელთანაც ის იყო გამოლაპარაკებას ვაპირებდი, თავი მალდა ასწია და უხალისოდ გასძახა:

- მოვდივარ, მოვდივარ!
- შენა გქვია ჩიჩინო?—შევაჩერე ბიჭუნა.
- დიახ!—მოკლედ მომიჭრა მან.
- ვინ მოგიკვდა?—ვკითხე და მკლავზე შემოხვეულ შავ ბაფთზე ვაჩვენე.

- მამა,—მომიგო ბიჭმა და სახე მოელრუბლა.
- სკოლაში არ დღობხარ?
- არა, სინორა, სკოლაში მდიდრები დადიან, მე რომ სკოლაში ვიარო, ოჯახი ვინ უნდა არჩინოს?

— რას აკეთებ?—შევეკითხე ცოტა ნნის მერე.

- „თურქად“ ვმუშაობ.
- რაო, „თურქად“?
- როგორ აგინხნათ, ზოგი მეეზოვეა, ზოგი მეფუნთუშე. მე კი „თურქად“ ვმუშაობ და ლუქმა-პურს ამით ვშოულობ.

იგი შუბლშეკრული მელაპარაკებოდა, მერე კი ჩემს გოცენბაზე ცოტა გამხიარულდა.

- გასამრჯელოს რას გაძღვევენ?
- დღეში ორას ორმოცდაათ ლირას და დილაობით საუზმეზე ერთ ფუნთუშასა და რამდენიმე დვეზელს. კვირა დღეს ერთ გროშსაც არ ვიღებ. ნამდვილი სინიორივით ვისვენებ. დედა კვირაობით ჯიბის ფულად ორმოცდაათ ლირას მიძღვეს, დანარჩენი ოჯახს სჭირდება.

- მერე ეგ სამუშაო მუდამ გექნება?
- თითქმის მუდამ. ჩემს პატრონს ფართლეულის სამი მალაზია აქვს ქალაქში. დღეს ერთი მალაზიის ვიტრინაში დამაყენებს, სვალ-მეორეში. თუმცა ერთი მალაზიიდან მეორეში გადავდივარ, ხალხს მაინც სწყვინდება ერთი და

იგივე „თურქის“ უტრება. მაშინ მალაზიის პატრონი მორბედად მიუენებს; ხან მალაზიის დავაში ვეხმარები. მართალია, ძნელია მთელი დღე ვიტრინაში გაშეშებული ჯდომა, მაგრამ მორბედად ყოფნას ისევ „თურქად“ ყოფნა მირჩევნია. ვიტრინის წინ უამრავი ხალხი ირევა. მიუტრეხენ, იცინიან და ამბობენ: „ნამდვილ თურქს არა ჰგავს!“ ხვალ ბანდერის ქუჩაზე მალაზიაში ვიქნები. მობრძანდით და მსახეთ.

ბიჭი ვამომემშვიდობა და ძველ წამოქცეულ სახლისაკენ გასწია.

ჩიჩინო თორმეტ წლისაა და უკვე ერთი წელია „თურქად“ მუშაობს. დიდის ცხრა საათი-

დან დღის პირველ საათამდე და შემდეგ დღის ოთხი საათიდან საღამოს რვა საათამდე ფეხმოკეცილი უძრავად ზის ვიტრინაში.

მეორე დღეს ბანდერის ქუჩაზე მალაზიის წინ გავიარე. ჩიჩინო მართლაც ნამდვილი თურქივით, თავდა-ფეხამდე თეთრებში გამოწყობილი, თავზე დიდი დოლბანდით, ვიტრინაში იჯდა და შავ თვალებს აბრიალებდა. მის გარშემო ქსოვილების თოფები ელაგა.

როდესაც ჩიჩინომ ვიტრინის წინ გაჩერებულ ხალხში მომკრა თვალი, ხალხის ნიშნად ოდნავ გაელშია და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

თარგმანი ს. გელაშვილისა

ფათუნია

გელა შხაღამე

ს ამბავი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთ ტყეში დაიბადა დათვის ბელი; ამავე ტყეში გაჩნდა პატარა მელიაიც. დათვის ბელი გულკეთილი და გულმართალი იზრდებოდა. მელია კი-ეშმაკი და ოინბაზი.

ერთ დღეს მიბაჯბაჯვებს დათვის ბელი სკოლისაკენ, ჩაუარა ნაცნობ ბუჩქებს, ხეებსა და ყვავილებს.

დათუნიაზე ადრე კი მელია-ცლანგა გაუყვა სკოლის გზას და თავში ათასნაირი ეშმაკობა უტრიალებდა. უცბად ცლანგამ გზაზე ჰობიდან ამოსული დედა კუ დაინახა. იფიქრა, გამოვეცაპარაკებო, მაგრამ კუმ ხმა არ გასცა, თავი და ფეხები ჯავშანში შეემალა. მელია-ცლანგამ ჯავშანში შეიჭვრიტა და დაინახა, რომ დედა კუს გემრიელად ჩასძინებოდა. ცლანგას თვალში გაუბრწყინდა, ჩანთიდან ვაშლი ამოიღო, ჩხირზე ჩამოაცვა, ჩხირს კანაფი მოაბა და მძინარე დედა კუს თავთან, ხის ტოტზე გადმოჰკიდა. კანაფის მეორე ბოლოს მაგრად ჩაავლო თავთები და ბუჩქებში მიიმალა.

აი, გამოჩნდა დათუნიაც. ბიქს სკოლისაკენ მიჩქარება, თან რაც ძალი და ღონე აქვს მღერის და მღერის. ჩიტუნებმა გალობა შეწყვიტეს და საყვედურით აკიკიკიანდნენ:

— თქვენი ქირიმე, ეს რა უბედურებაა! ჩვენი ქაობის ბაყაყებზე უფრო ცუდად თუ ვინმე იმღერებდა ჩვენს ტყეში, აღარ გვეგონა. ყურები გვატკინა დათვურმა ბლავილობა.

დათუნისა კი ეგონა, მთელი ტყე სულ-განაბული მისმენსო, და უფრო აუშაღლა ხმას. დათვის ბეღმა მოულოდნელად შეწყვიტა სიმღერა. ჩიტუნებმა ჟივჯივით გადმოიხედეს ხეებიდან, გაოცდნენ, ეს რა სასწაულმა გვიხსნათა? დათუნისა ნერწყვით საესე პირი დაეღო და ხეზე ჩამოკიდებულ ვაშლს შესცქეროდა. უცბად მძინარე კუ დაინახა, შედგა ზედ, მაგრამ ვაშლს მაინც ვერ მისწვდა.

— ეჰ,—გაიფიქრა დათუნიათ,—ცოტა მაღალი რომ ვყოფილიყავი, ეს ვაშლი უკვე ჩაკებელი მიქნებოდა.— მიხედა-მოიხედა, იქვე ჯირს მოჰკრა თვალი. გაძუნძულდა და ხენენით მოათრია. კუს ზურგზე დააღო და ზედ აბობღდა, ცალი თათით ვაშლს დაუწყო ძებნა, მაგრამ ხელში არაფერი მოხვდა. აიხენდა და რა ხა ხედავს! ვაშლი უფრო ზემოთ ასულა. დათუნიათ დიდის ვაივაგლობით თათის წვერებზე აიწია, მელია-ცლანგამ კიდევ გამო-სწია კანაფი და ვაშლი უფრო ზევით ავიდა.

დედა კუ ძილში რაღაცამ შეაწუნა, გაიღვიძა. გამოჰყო ჯავშნიდან თავი და შეყძახა:

— ვრიშაა! ვერ უყურებთ ამ ბღენძიას, ეს რა ცირკი მოუწყვია ჩემს ზურგზე!

მაშინვე ფეხებიც გამოჰყო, დააბჯინა მიწაზე ღონივრად და სწორედ იმ დროს, დათუნია ვაშლის დათრევას რომ აპირებდა, კუ დაიძრა ადგილიდან. თქვენს მტერს, რაც დათუნისას ღლე დაადგა. მოულოდნელად კუნძი გამოეცალა და თათების შაერში სავსავით წამოვიდა ქვემოთ. დეიდა კუ თავით გადაეშვა წყალში, ხოლო დათუნია მ საშინელი

ზღართანია მოადინა მიწაზე და მეტიც აღარ განძრეულა.

გულწასულ დათუნისა ჩიტები ფრთებით უნიავებდნენ. მელია-ცლანგამ არეულდარეულობით ისარგებლა, ვაშლი სწრაფად ძირს დაუშვა და ბუჩქებში გაინაბა. დათუნია ვერაფრით გონზე ვერ მოიყვანეს. ამ დროს ექიმმა კოდალამ დაივიწყა:

— ეი, თქვე ყიყინით გამოთაყვენებულა ბაყაყებო, ვერ უნდა მიხვდეთ? აბა, ჩქარა, წყალი ასხურეთ დათუნისას ხახზე და გულმკერდზე!— შემდეგ თითქოს თავის ბრძანებას ბეჭედი დაასვაო, დაჰკრა ნისკარტი ხის ქერქს და „ქახ“ მოადინა.

ბაყაყები ამ ბრძანებაზე ღუმფალას მწვანე მოკურავე ფოთლებიდან წყალში გადაეშენენ და მეორე ნაპირზე ამოჰყვეს თავი. ქაობის დიდი ფოთლები ძაბრივით დაამრგვალეს, აესებდნენ წყლით და ასხურებდნენ დათვის ბელს. დათუნიაც ნელ-ნელა გონზე მოვიდა და თვლები გაახილა. ჩიტუნები სიხარულით ავლობდნენ. ბაყაყებმა ჩასქიდეს ხელები ერთმანეთს, ბრეცა-გრეხით და ყიყინით უვლიდნენ დათუნისა გარშემო ფერხულს. მელია-ცლანგა კი სიცილით იგულებოდა ბუჩქებში. დათუნია მწამოჯდომა შესძლო, ყველაფერი გაახსენდა, გულში ჯავრობდა, იმასაც მოეგსწარი, რომ ყიყინა-ბაყაყებისა და ერთი ციდა ჩიტუნების მოსავლელო გავხდითო მადლობის მაგიერ დათუნია მ სიბრაზისაგან ერთი ხმამალლა შებღავდა:

— დამეკარგეთ აქედან, თქვე ნამცეცებო. თქვენაო!

ჩიტუნები მაშინვე გასცილდნენ იქაურობას, ბაყაყები ყიყინითა და თავპირის მტვრევით გადაეშენენ წყალში. დათუნია მ ძლივს აითრია დაბეგვილი წელი. ტყის საათში უკვე რამდენიმე წუთი აკლდა სწავლის დაწყებას, კრუსუნით დასწვდა თავის ჩანთას და ბურდლუნ-ბურდლუნით გასწია სკოლისაკენ. მელია-ცლანგას უკვე მოესწრო მისვლა და ვითომც აქ არაფერიო, წინა მერხზე წამოსკუბებულიყო და თავისი ეშმაკური თვალებით დათუნია ბაჯბაჯას ქვემ-ქვემ გაჰყურებდა.



ჩივი და სპილო

(ინდლოი ზღაპარი)

ჯუნგლებში ერთ მაღალ ხეზე პატარა ჩიტუნია მ ბუდე აი-
შენა და ბარტყები გამოჩეკა.

ერთხელ ამ ხეს სპილო მიეყუდა და გვერდების ფხანს
მოჰყვა. ხე ძირიანად შეიჩხა, ჩიტის ბარტყები შიშის კანკალ-
მა აიტანა და დედას მიეკვრნენ. დედა ჩიტმა ბუდიდან სპილოს
გადასძახა:

— ჯუნგლების დიღო მბრძანებელო, ხომ ხედავ ირგვლივ
რამდენი ჯმუხი და მაღალი ხეები, რაღა ამ ხეს მოადექი,
ჩემს პატარა ბარტყებს შიშით გული უსკდებათ. შეიძლება
ბუდიდან გადმომიცივდნენ კიდეც და დამელუპონ.

სპილომ არაფერი უპასუხა. თავისი წვერილი თვალებით
ახედა ჩიტს, დიდრონი ყურები გააპარტყუნა და წავიდა.

მეორე დღეს ისევ იმ ხეს მიადგა სპილო და ისევ მძლავ-
რად დაიწყო გვერდების ფხანა, რომ ხე კინალამ ფეხვიანად
მოგლიჯა. ბარტყები ახლა უფრო შეშინდნენ და უფრო მაგრად
მიეკვრნენ დედას. დედა ჩიტი გაცეცხლდა და მრისხანედ გადას-
ძახა სპილოს:

— შენ ეი, ამ ხეს ჩამოეხსენ, თორემ ქეკუას ვასწავლი!

სპილოს გაუკვირდა.

— საბრალო ჩიტუნიავ, აბა შენ რა ქეკუა უნდა მასწავლო
უძლიერეს სპილოს, ინდოეთის ჯუნგლების ბატონ-პატრონს?
ამ უზრდველი სიტყვის წამოსროლისთვის კი, თუ მოვინდომე,
ძირიანად მოვგლეჯავ ხეს და შენცა და შენს ბარტყებსაც
ოხრად დავყრიით.—უთხრა სპილომ ჩიტსა და გაშორდა.

ჩიტმა არა უპასუხა რა.

მესამე დღეს სპილო ისევ მიადგა იმ ხეს გვერდების მო-
საფხანად. უცებ დედა ჩიტი ისარივით დაეშვა ხიდან, სპილოს
ყურში შეუძვრა და სულ დაუკაწრა და დაუსერა. ამას რა უშავდა
ყურში ხიციანმა ხომ სულ ვაგვითა საწყალი. სპილო თავს აქეთ-
იქით საცოდავად იქნევდა, ყურებს აპარტყუნებდა და გახელე-
ბული დარბობდა; ამან რომ ვერ უშველა, ხეყენა დაუწყო ჩიტს.

— გამოდი, გეფიცები, დედიდან აღარ შეგაწუხებ, არც
შენ და არც შენს ბარტყებს.

— ცოტას გეხვეწებოდი, მოშორდი ამ ხეს, ჩემს უსუსურ
ბარტყებს ნუ მიფრთხობ-მეთქი, ვანა შემიბრალებე? — მიუგო
ჩიტმა.

სპილომ აღარ იცოდა რა ექნა, ღრიალებდა, აქნევდა თავს,
აპარტყუნებდა ყურებს და დარბობდა ჯუნგლებში. ბოლოს,
როცა ძალია გამოეღია და მიწაზე დაეცა, ჩიტი გამოძვრა სპი-
ლოს ყურიდან და გაფრინდა თავისი ბარტყებისაკენ.

ასე ასწავლა სპილოს ქეკუა პატარა ჩიტმა. იმ დღიდან
აღარ მიჰკარებია სპილო იმ ხეს.



თარგმან გვიცინძემ
ნახატი ე. ამბოკაძისა



აჩის ცხოველი ქაცვია,
ტანზე მბალი აცვია.

აცანცალო, მაცანცალო,
კომბოსტოსგან ხულ ფაგვცალო.
კლ. სანიშნული




ჟირაფივით კისერი აქვს,
დაულია ხახა,
სადაც სახლებს აშენებენ,
იქ მას ხშირად ნახავ.
რაც მშენებლებს დასჭირდება,
მიაშველებს იმჟამს,
თითო ლუკმად არა ჰყოფნის
თითო ტონა მიწა.



იალალს ცხვრებით მოფენილს
ხა ეფინება წყრილაო,
ვათლილი ლერწმის ლეროა,
ბულბულის ენა კი არა.


ხან ბურთივით მრგვალია,
ხან კი ვერცხლის ნალია.
პ. ამირანაშვილი



ლიტრიანზე უფროსი შევსვი
ბიუი მუცელგანიერი,
რაც მივეცი, ლიტრს გადასცა,
თვითონ დარჩა ცარიელი.

თოვლის კაკა გაკარულა

რეზო მიშველაძე



ტუშინ, როცა ამ მინდორზე
გუნდაობა გავახურეთ,
მივედი და თოვლის ჰაზას
ჩემი ქუდი დავახურე.

დღეს კი დათბა, გასათხუღდა,
სამთარს გაჭევა ჭეხაძი, თქეში,
თოვლის ჰაზასც გაპარულა,
მარტო ქუდი შემჩრა სელში.

— კიდევ კარგი, კიდევ კარგი,—
ანუგეშებს რესოს კოლა,—
— საბანაოდ წასულა და
ქუდიც თან არ გაიყოლა!



შუადგინა ივ. გოუტაშვილმა




მიწის ქვეშეთის მკვიდრი ვარ,
კვირაბებს ვთხრი და მივდივარ.



ჭიებისთვის საშიში ვარ,
ჩიტებისთვის უფრებელი,
პირზე ორი მახათი მაქვს
ხეზე საკაკუნებელი.

გიორგი ჭიჭინაძე





„შეგობრომა“. ნახატი ირინე ცინცაძისა. 6 წლ. (თბილისი).



„ყვავილები ტილაში“. ნახატი ვანო გურაბანიძისა (მიდის საბ. ბაღი).



„ნატურმორტი“. ნახატი დავით შიხაშვილისა. V კლ. მოსწ. (თბილისი).



„ფეხბურთისაი“. ტყე—1047. ნახატი ვიქტორ კოჩელისა. 7 წლას (თბილისი).

გ ა ვ შ ვ ტ ა შ ა მ ო მ ხ ე რ ე ჯ ა



„ზამთრის სურათი“. ნახატი ნათელა ჯეორგაშვილისა. (ყვარლის საბ. ბაღის უბნ. კვეთი).

„ჩვენი ეზო“. ნახატი ჯემალ თოფჩიშვილისა. III კლ. მოსწ. (ხაშური). ➔



„სოფლის გზაზე“. ნახატი ვიქტორ დედოქოსა. 8 წლ. (ყვარლის რაიონი. სოფ. ხანუცი).



პირ. 1. ო. შვილი. 4 წლის (თბილისი). 2. ღვინო. 4. გ. შ. 5. წ. მელია. 2. ტყე. 3. ნატურმორტი.

